ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 41-47

"14" ივნისი 2024 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-91 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-91 დადგენილებაში (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 05.01.2015, სარეგისტრაციო კოდი 210070000.35.101.016084) შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი პუნქტის „გ" და „დ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებზე:

გ.ა) სამორინეს თამაშობებზე – 300 000 ლარი კვარტალში;

გ.ბ) სათამაშო აპარატების თამაშობებზე - 300 000 ლარი კვარტალში;

გ.გ) ტოტალიზატორების თამაშობებზე - 300 000 ლარი კვარტალში.

დ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის საფუძველზე ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე -- 20 000 ლარი კვარტალში.".

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე .გიორგი ტყემალაძე